# ცნობის ფურცელი

№ 1956 ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი **1896—1902** ყოველ-დღიური გამოცემა № 1956

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372



ერევნის მოედანი, № 3

## ფოტოგრაფია ა. ს. როინაშვილისა

(საკუთრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა)

დასაჩუქრებული

## უმაღლესის ჯილდოებით.

ფოტოგრაფიას მოეპოვება მრავალგვარი კოლექცია კავკასიურ ტიპებისა და ბუნების სურათებისა, აგრეთვე **ახლად გადაღებული** სურათები საქართველოს არქეოლოგიულ ნაშთებისა.

ფოტოგრაფია ჰკისრულობს ყოველგვარს სამუშაოს იაფ ფასად: სურათების გადაღებას და უკვე გადაღებულის სურათების გადიდებას.

ფოტოგრაფიაში იყიდება ახალი სურათი **შ. რუსთაველისა**, გადმოღებული მხატვარის მუროევის სურათიდან, და აგრეთვე სურათები ჩვენის მწერლებისა და არტისტებისა.

ერევნის მოედანი, სახლი № 3. (3—2)

წარმოდგენა 5. ტელეფონი 617

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს 1902 წ.

**გასტროლი ვ. ა. ბალანჩივაძისა**

ქართულ დრამატიულ დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ორი პიესა

I

### ირინეს ბედნიერება

სოფლის სურათები 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა.

II

### მარჯვე დღე

კომედია 3 მოქ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა, თარგ. მ. საფაროვისა.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი და სხვ.; ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. ბალანჩივაძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი და სხვანი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 5 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კაპეიკიდან 3 მანეთამდე, ამფითეატრი 80 კაპეიკიდან 1 მ. 50 კაპეიკამდე, გალერეა 25 კაპ.-დან 45 კაპ.-მდე. მოსწავლეებისთვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე**

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი", „უბედურ ვარსკვლავზე", „პარიზის ღარიბ-ღატაკნი" და სხვ.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელად. რეჟისორი **ვ. გუნია.**

კავკ. სამეურ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა

## „შრომა"

ჰყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან.

მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—15)

სრულიად ახლად გადაკეთებული

## „იუჟნიე ნომერა"

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილ ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა,** ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—4)

ვყიდი თიანეთის

## აფთიაქს

პირობებისათვის მიჰმართეთ თიანეთში, პროვიზორს კ. ა. ჯაჭვაძეს. (4—1)

ექიმი

## ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 6—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

## ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

**ვ. ი. ჯიჯინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.

**ა. ვ. მალალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. ქამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ა. მ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ვ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

**ა. ზ. ბარხუძოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**მრ. მ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ა. ვ. მალალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავანელიძისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

**ტელეფონი № 274.** (წლ).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

## მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

## გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, სახაზინო კრუჟოკის პირდაპირ. (45—15)


## დიდი საქმე

II

რა უნდა გაკეთდეს? *)

4. როდესაც სახელმწიფო და ერობა საეკონომიო პოლიტიკაში ამ ახალ გზას დაადგებიან, როდესაც ეცდებიან წარმოების გაძლიერებასა და ხალხის მოთხოვნილების გადიდებას, თავის და თავად საჭირო შეიქმნება კარგი სახალხო სკოლა, სავალდებულო საყოველთაო სწავლება და სასოფლო-სამეურნეო და სატეხნიკო სასწავლებლები. ამ გვარი სასწავლებლები უნდა დაარსდეს არა მარტო მაზრებში, არამედ სოფლებშიაც. ამ საელემენტარო სასწავლებლებში წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზდობა პრაქტიკულად შეისწავლის საუკეთესო კულტურასა და დასამუშავებელ ტეხნიკას.

მართალია, რუსეთის საუკეთესო წარმომადგენელთა სურვილი, რომ შემოღებულ იქმნას საყოველთაო და უსასყიდლო სწავლება, ძნელი ასასრულებელია და დიდ ხარჯს მოითხოვს; არც შეიძლება პირველადვე და ერთბაშად ყველგან კარგ საელემენტარო სკოლის დაარსება. მაგრამ თუ ხალხის მოთხოვნილება პირველის ათის წლის განმავლობაში იმდენად გაიზრდება, რომ 730 მილიონ მანეთის საქონელი შეიქმნება საჭირო (იხილე ზემოდ), იმ შემთხვევაში ხალხი შესძლებს როგორც პირველ-დაწყებითი სკოლის შენახვას ყველა სოფელში, ისე საელემენტარო სატეხნიკო და სასოფლო სამეურნეო სასწავლებლების ხარჯის გაძლოლას. მოთხოვნილების გადიდება ჰნიშნავს წარმოების გაზრდას, რომლის დროსაც მცხოვრებთა ერთი ნაწილი მუშაობს თავის ნაწარმოების გასაცვლელად მცხოვრებთა მეორე ნაწილის ნაწარმოებზე. მაგრამ გაზრდილ და განვითარებულ წარმოებისათვის საჭირონი იქმნებიან საკუთარის წრის, იაფ-ფასიანი ტეხნიკოსები და ხელოსნები. ამ ნაირი ხელოსნები და ტეხნიკოსები უნდა მომზადდნენ სოფლისავე ახალგაზდობისაგან, რომლის ჩვეულებანი და მოთხოვნილებანი არ განსხვავდება დედმამისა და მეზობელთა ჩვეულება-მოთხოვნილებისაგან. ხალხისავე წრეში მცოდნე მომუშავეთა შექმნა ჰნიშნავს საეკონომო პროგრესის უძლიერესს ფაქტორის შექმნას. იაფ-ფასიანი ტეხნიკოსი და ხელოსანი ხალხიდან—აი საიდუმლო შეერთებულ შტატებისა, ავსტრალიისა და კანადის წარმატებისა. **).

პირველ ათის წლის დამლევსვე თვით ხალხი გაუძლევება იმ ხარჯს, რაც საელემენტარო სასოფლო სასწავლებლებს დასჭირდება. ერობასა და მთავრობას მოუხდება სატეხნიკო და საგრანომიო სასწავლებლებისა, სახელოსნოებისა და საწყობების დაარსება მხოლოდ იმ მაზრებსა და სოფლებში, რომელნიც ზემოდ მოვიხსენიეთ. პირველ ხანს ამ საქმეს დიდი ფული დასჭირდება, თუმცა არც ისე დიდი, რომ სამაზრო ერობებს მთავრობის დახმარებით გაუჭირდეთ იმის შოვნა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხალხის წარმოება მოთხოვნილება თან და თან გაიზრდება; კაცის თავზე რომ ზემოდ ნაანგარიშევი 0,11 კაპეიკი ჩავაგდოთ დღეში, მეორე ათის წლის დამლევს წარმოება-მოთხოვნილება ისე ძლიერ გაიზრდება, რომ 1 მილიარდ 700 მილიონ მანეთის მეტის საქონლის დატრიალება შეიქმნება საჭირო; მაშასადამე, თვით ხალხი შესძლებს ფულის გადადებას ამ სკოლების შესანახად, მოსაწყობად და გასამრავლებლად.

5. ჩვენის აზრის განსამარტებლად ავიღოთ საშუალო ტიპის გუბერნია, ისეთი, სადაც 2 მილიონი სული სცხოვრობს და რვა მაზრაა. ვთქვათ, პირველ ხუთ წელიწადს თან-და-თან დაარსდა მაზრაში, გლეხთა განზრახულ სახელოსნოებთან, 20 საელემენტარო სატეხნიკო სკოლა. თითო სკოლის დაარსება და მოწყობა არ უნდა აღემატებოდეს 10,000 მანეთს. ამ რიგად რვა სკოლას დასჭირდება სულ 200,000 მანეთი. 40 მასწავლებელ-ხელოსანს (სკოლაში ორ-ორი) დასჭირდება, თუ კაცის თავზე 700 მანეთს ჩავაგდებთ, 28,000 მანეთი და 20 პროფესორს—თითოს 1000 მ.—20,000 მანეთი. სულ მეხუთე წლის დამლევს საჭირო იქმნება 48,000 მანეთი. ვიმეორებთ, ეს ოცი სკოლა უნდა დაარსდეს ხუთის წლის განმავლობაში, მაშასადამე, წელიწადში მოდის ოთხი სკოლა. პირველ წელიწადს ამ ოთხ სკოლის დაარსება-შენახვაზე დაიხარჯება სულ 49,600 მანეთი, აქედან 40,000 მანეთი დაარსებას მოუნდება, 9,600 მანეთი—8 ხელოსანსა და 4 პროფესორს. უდიდესი ხარჯი—88,000 მანეთი—საჭირო იქნება მხოლოდ მეხუთე წელიწადს, როდესაც ოცივე სკოლა დაარსებული იქნება. ამ 88 ათასი მანეთიდან 40 ათასი მანეთი ოთხ ახალ სკოლის დაარსებას მოუნდება, ხოლო 48 ათასი მანეთი, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ,—20 სკოლის მასწავლებელ პროფესორებს.

ეხლა ეს მიბრძანეთ, ნუ თუ მაზრა, სადაც 250—300 ათასი მცხოვრებია, ვერ იშოვნის 300 და 600 ათას მანეთს? პირველ ათ წელიწადს ახალ საქმის დასაწყობად საჭირო იქნება სულ 2-დან 3 მილიონ მანეთამდე. ნუ დაივიწყებთ, რომ სკოლები და წარმოება თან-და-თან უნდა მოეწყოს, მაშასადამე, ფულიც ნაწილ-ნაწილ იქნება საჭირო. მეთერთმეტე წელიწადსვე თვით სახელოსნოები და იმათთან არსებული სატეხნიკო სკოლები გაუძლვებიან მთელის ხარჯის ნახევარს თუ არა, მესამედს მაინც. ეს სატეხნიკო სკოლები და სახელოსნოები, სადაც 20 პროფესორისა და 40 ხელოსანის ხელმძღვანელობით უნდა დამზადდეს გლეხობაში სახმარებელი საქონელი, სიბნელეში მყოფ სოფელს სწრაფად მოჰფენენ სინათლესა და ცოდნას.

თვითეულ სკოლასთან პირველი ხელოსანი მუდმივად დარჩება, ხოლო მეორე ერთის სკოლიდან მეორეში ივლის. უნდა შეიცვალნენ ხოლმე პროფესორებიც. თვითეული პროფესორი სპეციალისტი უნდა იყოს მიწათ-მოქმედებისა ან სატეხნიკო წარმოების ერთ-ერთ დარგისა და მასწავლებელი ერთ-ერთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა (ფიზიკისა, საელემენტარო ქიმიისა, ზოოლოგიისა, ბოტანიკისა, კლიმატოლოგიისა, პირველ დასაწყის მინერალოგიისა ან გეოლოგიისა). მეორე ხელოსანი იმავე საგნების სპეციალისტი უნდა იყოს, რისაც პროფესორია და უნდა თან დასდევდეს ამ უკანასკნელს სკოლიდან სკოლაში გადასვლის დროს. ამ მოსიარულე პროფესორებისა და ხელოსნების მეოხებით შესაძლებელი იქმნება გააცნონ ორსავე სქესის მოზარდ თაობას მეცნიერების საელემენტარო ცნობე-

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1954.

**) იაფ-ფასიანი იმ აზრით, რომ ტეხნიკოსის სასყიდელი არ აღემატებოდეს დურგლისა, მჭედელ-მთესველისა და სხვა მუშა კაცის სასყიდელს.

ბი და კულტურისა და წარმოების საშუალებანი.

ნურავინ იფიქრებს, ვითომ პროფესორისათვის ერთი თვე საკმაო არ იყვეს, რომ მოწაფეებს ფიზიკისა, ან ბოტანიკის პირველდასაწყისი კურსი შეასწავლოს. გიმნაზიებშიაც ამ საგნებისათვის კვირაში ორი გაკვეთილია დანიშნული, ან წელიწადში 70 გაკვეთილი. ჩვენ ისე მოვისაზრეთ, რომ პროფესორი სკოლაში ერთ თვეს დარჩება და კვირა-უქმეების გამორიცხვით, 25 დღეს მოანდომებს სწავლას. ნუ დავივიწყებთ, რომ ამ სკოლა-ქარხნებში ოთხკლასიან სკოლაში კურს დამთავრებულები შევლენ, ესე იგი, 12—14 წლის მოზარდი ყმაწვილები და რომ ეს ყმაწვილები კარდად იქნებიან მომზადებულნი, რადგანაც ზემოხსენებულ სკოლა-ქარხნებში შესვლის უფლება მხოლოდ სოფლის სკოლის საუკეთესო და ნიჭიერ მოწაფეებს მიეცემათ. იქნება ოდესმე შემდეგში ჩვენი ცხოვრებაც ისე განვითარდეს, რომ ამ სატეხნიკო და საagრონომო სკოლა-ქარხნებში მთელმა ჩვენმა მოზარდმა თაობამაც ისწავლოს... დღეში ექვსი საათი რომ იშრომოს, პროფესორი სამს საათს სპეციალურ პრაქტიკულ მუშაობას შეასწავლის და ხელმძღვანელობას გაუწევს შეგირდებს, სამს საათს კიდევ თავის საგნის სწავლებას მოანდომებს. პრაქტიკული მუშაობა და გაკვეთილები, რასაკვირველია, ერთმანეთს რიგზე უნდა მისდევდეს. დღეში სამი გაკვეთილი იქმნება, მაშასადამე თვეში 65 გაკვეთილი მოვა და რაკი ზამთრის განმავლობაში პროფესორს ერთსა და იმავე სკოლაში ორჯელ მოუხდება ყოფნა (წლიურ კურსში 8 თვე რომ ჩავაგდოთ და ოთხის საგნის სწავლება იყოს დაწესებული), ამიტომ პროფესორის ხელში 125-დან 150-მდე გაკვეთილი იქნება საგნებისათვის; ეს კი სრულიად საკმაოა, რომ ყმაწვილებმა რომლისამე მეცნიერების ელემენტალური კურსი შეისწავლონ.

ყველაფერი ეს ოცნება და სიზმარი როდია. მოსიარულე მასწავლებლები და პროფესორი-ტეხნიკები არიან კანადასა, ნორვეგიასა და მრავალ სხვა ქვეყანაში. საქმის ვითარებამ მიწათ-მოქმედებისა და ფინანსთა სამინისტროებიც კი აიძულა ლექტორ-აგრონომები და ტეხნიკები დაენიშნა. რაც შეეხება ამ ნაირ სკოლებისათვის საჭირო ხარჯის ანგარიშს, უნდა მოგახსენოთ, რომ კამიშლოვის სამაზრო ერობის ხარჯთ-აღრიცხვა სატეხნიკო სკოლის დაწესებისა და შენახვისათვის სავსებით უდგება ჩვენს ანგარიშს. (დასასრული იქნება)

# საზღვარ-გარედ

—

**ინგლისი.** მართალია, მთავრობა უარზე დადგა, ირლანდიის საქმეების განსახილველად ცალკე დღეს არ დავნიშნავო, მაგრამ პალატა მაინც თითქმის სულ ირლანდიის საქმეებს უნდება. წარსულ ორშაბათს ირლანდიელმა დეპუტატმა მაკ-ნეილ სვიფტმა პალატაში ირლანდიის საქმეთა მინისტრს უინდჰემს ჰკითხა, საპარლამენტო კანიკულების დროს (ესე იგი აგვისტოს აქეთ) რამდენი ირლანდიელი დეპუტატი დაატუსაღეს და ციხეში ჩასვეს 1887 წლის განსაკუთრებულ კანონის ძალითაო. უინდჰემის პასუხიდან გამოჩნდა, რომ აგვისტოს აქეთ ოთხი დეპუტატისათვის მიუსჯიათ ციხეში დაპატიმრება; აპრილს აქეთ საკატორგე ციხეში 43 კაცი ჩაუსვამთ, 1887 წლის კანონის გამოცემის შემდეგ კი სულ 1601 კაცი ჩაუგდიათ ამავე ციხეში. ამის შემდეგ ირლანდიელმა დეპუტატმა ო'ბრაიენმა ხელ-მეორედ მოსთხოვა პირველ მინისტრს ირლანდიის საქმეთა განსახილველად ცალკე დღე დანიშნეთო. ბალფურმა უპასუხა, ირლანდიის საქმეებისათვის ცალკე დღეს მარტო იმ შემთხვევაში დავნიშნავ, თუ ამას მთელი ოპოზიცია მოითხოვს და არა მარტო ირლანდიელნიო. ოპოზიციის ლიდერმა კემპბელ-ბანერმანმა შენიშნა ამაზე, რომ ირლანდიელთ პარტიის მოთხოვნაც კმარა დღის დანიშვნისათვისო, მაგრამ ბალფური მაინც არ დასთანხმდა.

საღამოს სხდომის დროს ხელ-მეორედ დაიწყეს კამათი ირლანდიის საქმეზე. ო'ბრაიენმა წინადადება შეიტანა, პალატის სხდომა გადავდოთო იმ აზრით, რომ პარლამენტმა მთავრობის ქცევას ყურადღება მიაქციოსო. პოლიციელ სერჟანტის სელივანის საქმეში მეტად უსამართლოდ მოიქცა მთავრობაო. ირლანდიის ლიგის სახელის გასატეხად პოლიციელი სელივანი სხვა-და-სხვა სიყალბეს სჩადიოდა, ცრუ მოწმეებს შოვობდა, ზოგიერთ პირს მოსაკლავად დაეცა, მაგრამ დღემდე თანამდებობიდან არ გადაუყენებიათო. ო'ბრაიენს ირლანდიის გენერალ-ატორნეიმ უპასუხა: სელივანს ნამდვილად ჰბრალდებოდა ხსენებული ბოროტ-მოქმედებანი, მაგრამ სასამართლომ გაამართლა. ამიტომ მთავრობასაც საბუთი აღარ ჰქონდა იმის დასასჯელადაო. ამ პასუხის წინააღმდეგ ირლანდიელებმა ძლიერ პროტესტი გამოაცხადეს. ბოლოს ო'ბრაიენის წინადადება 215 ხმის უმეტესობით 117 წინააღმდეგ უარ-ჰყვეს. ირლანდიელებს 60-მდე ლიბერალიც მიემხრო, იმათ შორის კემპბელ-ბანერმანი, ჰერბერტ სპენსერი და სხვა. ასკიტსა და ორიოდე სხვა ლიბერალს კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**საფრანგეთი.** ამ დღეებში მინისტრთა საბჭოში პირველმა მინისტრმა კომბმა ფრანგ ეპისკოპოსების საერთო წერილი წაუკითხა თავის ამხანაგებს. ეპისკოპოსები ამ წერილში კონგრეგაციებს ესარჩლებიან. მინისტრების საბჭომ სცნო, რომ ეპისკოპოსების საქციელი კონკორდატს არღვევსო, რადგანაც კონკორდატის ძალით სამღვდელო პირებს აკრძალული აქვთ საერთო წერილების გამოცხადებაო, ამიტომ საბჭომ დაადგინა: ყველა ეპისკოპოსები, რომლებსაც წერილზე ხელი უწერიათ, დაისაჯნენო. ამის შემდეგ კომბმა ოტენის ეპისკოპოსის ტეროს საქმე მოახსენა საბჭოს. ტეროს ერთს საეკკლესიო დღესასწაულის დროს საჯაროდ მეტად საწყენი სიტყვით მოეხსენებინა და გაეკიცხა მთავრობა. მინისტრების საბჭომ დაადგინა მოვსთხოვოთ ტეროს, ან დაამტკიცოს, რომ მთავრობის საწყენი არა უთქვამს-რა, ან არა და ბოდიში მოიხადოსო.

**ავსტრო-ჰუნგრეთი.** კერბერის პროექტმა ენების უფლების თაობაზე მხოლოდ ერთი ნაყოფი მოიტანა,—ჩეხების პარტიები შეაერთა: ჩეხიის ფეოდალებმა და მლადოჩეხებმა საერთოდ უარ-ჰყვეს პროექტი, მერე მლადოჩეხებმა, სახალხო აგრარიებმა და რადიკალებმა ხელად მანიფესტი გამოსცეს და გამოაცხადეს, თუ პარლამენტი დაითხოვეს, მაშინ არჩევნების დროს სამივე პარტია ერთად ვიმოქმედებთო, ყველანი საერთო კანდიდატებს დავასახელებთ და ყოველ პარტიის წარმომადგენლებს იმდენს ავირჩევთ, რამდენიც ეხლა ჰყავთო. კერბერი დაემუქრა ჩეხებს, თუ დიდ წინააღმდეგობას გამიწევთ, პარლამენტს დავითხოვ უსათუოდაო. ამ მუქარამ ხომ უფრო შეაერთა ჩეხები.

✦ მორავიაში სალანდო სეიმის დეპუტატების არჩევანი მოხდა. გერმანელებს ისევ წინანდებურად მცირე უმეტესობა ეყოლება სეიმში. ჩეხებმა მხოლოდ ერთი დეპუტატის ადგილი წაართვეს გერმანელებს. ქალაქ კარმაუს წარმომადგენლად ჩეხი აურჩევიათ. გერმანელები ნუგეშობენ, ამას იქით მაინც ვეღარას დაგვაკლებენ ჩეხებიო. გერმანელთ უმეტესობასაც ცვლილება დაეტყო: უფრო მარცხნივ წაუწევია—სეიმში პანგერმანისტები და ანტისემიტებიც გაჩნდებიან.

✦ რეიხსრატის მეორე სხდომა აუცილებელ და საშურ წინადადებათა განხილვას მოანდომეს. აუცილებელ წინადადებაზე უსათუოდ დეპუტატების დანიშნულ რიცხვს უნდა ეწეროს ხელი. წინადადების დაუყოვნებლივ განხილვის მოთხოვნა მხოლოდ პალატის ორ მესამედს შეუძლიან. მაგრამ როცა წინადადების დაუყოვნებლივ განხილვას ასაბუთებს, დეპუტატს შეუძლიან დიდი სიტყვა წარმოსთქვას; ამას გარდა, პარლამენტის წესდებით, როცა დაუყოვნებლივ განხილვის თაობაზე ხმებსა ჰკრებენ, ყოველი დეპუტატი უნდა გამოიხმონ, ყველა ამას დიდი დრო სჭირდება. კერბერი ჰფიქრობდა, პარტიებს მოველაპარაკები და დავიყოლიებ, რომ დაუყოვნებლივ წინადადებათა განხილვა აღარ მოითხოვონო, მაგრამ ეხლა ყველა პარტიები ბრძოლის გუნებაზე არიან და საპარლამენტო ბრძოლის საუკეთესო იარაღის ხელიდან გაშვება არ მოინდომეს. ზოგიერთი დაუყოვნებლივი წინადადება მეტად მნიშვნელოვანი იყო; მაგალითად გერმანელ პროგრესისტების და მუშათა პარტიის შეკითხვამ გამოააშკარავა, რომ ვენელ ანტისემიტებს ბევრი საშინელი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენიათ, როცა ქვემო-ავსტრიისათვის საარჩევნო სიებს ადგენდნენ. კერბერმა ამ შეკითხვაზე სუსტად და გადახვეულად უპასუხა დეპუტატებს. მაგრამ პალატამ ამ წინადადების დაუყოვნებლივობა უარ-ჰყო და ამით კერბერი გაჭირვებიდან გამოიყვანა. უარჰყვეს აგრეთვე რუსინების დაუყოვნებლივი წინადადებაც. ესენი თხოულობენ, გალიციაში მალორუსიული უნივერსიტეტი დაარსდესო. სლავიანებში ამ წინადადების წინააღმდეგნი მარტო პოლონელები იყვნენ.

**მაკედონია.** ავსტრიის გაზეთები ირწმუნებიან, ტყუილია, ვითომ ოსმალები მაკედონიელებს ჰხოცავდნენო. ოსმალოს ჯარს სასტიკი ბძანება მიუღია, რაც შეიძლება, ეცადენით, რომ მუსულმანის სჯულის მცხოვრებლებმა მეამბოხეთა რაზმების დევნაში მონაწილეობა არ მიიღონო. აჯანყებულთა რაზმი ერთის სოფლის მცხოვრებლებს ძალას ატანდა, აჯანყდით და ჩვენთან წამოდითო, სოფლელები არ დასთანხმდნენ, ადგნენ და მთაში გაიხიზნენ. ხონთქარმა მაშინვე ბრძანება გასცა, რომ ოსმალოს ჯარი წავიდეს, გახიზნულ სოფელს შემწეობა გაუწიოს და შინ დააბრუნოსო. მეორე სოფელშიაც ასეთივე ამბავი მოხდაო.

✦ ოსმალეთის მთავრობა მაკედონიის მოძრაობას ისეთ სუსტად სთვლის, რომ მაკედონიაში მომქმედ მუდმივ ჯარის გაძლიერება საჭიროდ არც კი მიაჩნია. სალონიკისა და მონასტირის გუბერნატორებმა მეტად სასტიკად უბძანეს მაკედონიაში მყოფ ოსმალოს ჯარსა, რამდენადაც შეიძლება, კარგად მოექცით აჯანყებულ ხალხსაო.

✦ მაკედონელი ბოლგარები მშვენივრად არიან თურმე შეიარაღებულნი: დატყვევებულ მაკედონელებს მანლიხერის თოფები ჰქონდათ, ახალი სისტემის რევოლვერები და სხვ. ოსმალეთის მთავრობის აზრით, ეს იარაღი იმის ნიშანია, რომ აქაურ მოძრაობას ბოლგარია უწყობს ხელსა. ოსმალეთის მთავრობამ ბევრჯელ მედგარი პროტესტი გამოუცხადა ბოლგარიას, მაგრამ ეჭვი აქვს, რომ ბოლგარიის მთავრობამ თავის დაპირების ასრულება შეიძლოს, ესე იგი მაკედონელთ კომიტეტების დამშვიდება მოახერხოს. ოსმალეთის ოფიციალური წრეები მაინც ჰფიქრობენ, რომ ბოლგარიის მთავრობა ეხლა უფრო გაუწევს წინააღმდეგობას ამ კომიტეტს, რადგანაც ამათში ეხლა განხეთქილება ჩამოვარდა: ზოგნი სრულს ავტონომიას თხოულობენ მაკედონიისათვის, ზოგნი კიდევ იმ აზრისანი არიან, მაკედონია ბოლგარიას უნდა შეუერთდესო.

# ახალი ამბავი

✦ 15 ოქტომბერს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა სოფლის საჭიროებათა გამოსარკვევად **მეურნეთა კრებები** ქუთაისისა, განჯისა და ერევნის გუბერნიებშიაც მოახდინოს. გუშინ, 16 ოქტომბერს, საბჭოს თავმჯდომარემ უგანათ. თავ. პ. გრუზინსკიმ მისწერა ამის შესახებ სამეურნეო საზოგადოების ქუთაისისა, განჯისა და ერევნის გუბერნიების განყოფილებათა თავმჯდომარეებს და სთხოვა, შეგვატყობინეთ რომელს ქალაქში შეიძლება კრებების გამართვაო.

✦ 18 ოქტომბრისათვის დანიშნულია **საზოგადო კრება** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება აგრონომის ტიმოფეევისა სოფლელთა შორის სამეურნეო ცოდნის გავრცელების შესახებ.

✦ ველიკოკნიაჟევსკის ქუჩაზე, თამამშევის სახლებში იდგა ქვრივი ტულოვსკისა. გუშინ დილით, მოსამსახურე რომ შესულა უნახავს საკუთარ სწოლში **გვამი** ძალად დამხრჩვალი ქვრივის ტულოვსკისა.

✦ ქალაქის გამგეობას დაუვალებია სასკოლო კომისიისათვის, დროზე განიხილონ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ქაღალდი, **ავლაბარში საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის** დაარსების შესახებ. ამ საგნის საბჭოში განხილვა იმ ანგარიშით უნდა გამგეობას მოახდინოს, რომ მომავალ სამოსწავლო წლისათვის საქმე გადაწყვეტილი იყოს. ოლქის მზრუნველი ქალაქს ატყობინებს, რომ ამ სკოლისათვის ქალაქმა ერთ დროულად უნდა იკისროს მესამედი ხარჯი სახლის ასაგებ-მოწყობისა, რომელიც 10 ათას თუმნამდეა ნაანგარიშევი, და ყოველწლიურადაც ასი თუმანი.

✦ გუშინწინ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მოუსმენია **ტფილისის საბაღოსნო სკოლის** გამგებელთა მოხსენება იმის შესახებ, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ სტიპენდიები დააარსოს ამ სკოლაში შეუძლო თავად-აზნაურთა შვილებისათვის. დღიდან დაარსებისა (1886 წ.) ამ სკოლაში სწავლა დაუმთავრებია 137 კაცს, რომელთაგან 56 ტფ. თავად-აზნაურთა შვილებია, 40—გლეხი, 26—მოქალაქე, 6—ვაჭრის შვილი, 5—სასულიერო წოდებისა და 4—სხვა. უფრო მეტი რიცხვი ამ სკოლაში მოსწავლეთა შეუძლო აზნაურთა შვილებია, ხშირად სწავლის ფულს ვერ იხდის და სკოლას თავს ანებებს, მაშინ როდესაც ამ სკოლაში სწავლა, საჭმელ-სასმელი, ტანთ-საცმელი და ბინა სულ 15 თუმნად ეძლევა მოსწავლეს. შეუძლებლობისა გამო დღეს სკოლის ფული ბლომადაა დარჩენილი მოსწავლეთა მშობლებზე.

საბჭოს დაუდგენია ეს მოხსენება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას წარედგინოსო.

✦ ტფილისის პოლიციმეისტერმა სახაზინო პალატას გაუგზავნა 394 კაცის **სია იმ სომეხ-გრიგორიანთა,** რომელნიც ოსმალეთის ქვეშევრდომობიდან რუსეთისაში გადმოვიდნენ და ტფილისის მოქალაქეთ უნდა ჩაირიცხნენ. ამათგან ნახევარზე მეტი თურმე ადმინისტრაციის განკარგულებით ჩაურიცხავთ რუსეთის ქვეშევრდომებათ, რადგან დანიშნულ ვადამდე არც გასულან აქედან ოსმალეთში და არც რუსეთის ქვეშევრდომად ჩაწერის სურვილი გამოუცხადებიათ.

✦ კავკასიის გზათა ოლქის მოიჯარადრეს **ი. ს. როზენფელდს კონცესია მიუღია** შუშიდან და ნუხიდან ვიწრო ლიანდაგის რკინის გზები გამოიყვანოს უმთავრესს ლიანდაგამდე. ჩვენ გადმოგვცეს, რომ ბ-ნ როზენფელდს განზრახვა აქვს ჩვენშივე მოუყაროს ამ გზებისათვის საჭირო ფულს თავი. შუშის მცხოვრებელთაგან ზოგ ფულიან კაცს კიდეც გამოუცხადებია ამის სურვილი.

✦ ტფილისის **ბოტანიკურ ბაღის** გამგეს უთხოვნია, სადაც ჯერ არს, ამ ბაღში პრაქტიკულად მუშაობის შესწავლისათვის არსებულ სკოლაში მოსწავლეთა მეტი რიცხვი მიიღებოდესო.

✦ სურამის სამკითხველოს გამგე გრ. ნებიერიძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „უღრმეს მადლობას ვუცხადებს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა სურამის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ათი მანეთის წიგნები“.

✦ ტფილისის მესამე ქალთა გიმნაზიის მთავრობა კიდევ სთხოვს ქალაქის გამგეობას, 1-ლ ნოემბრამდე უთუოდ დაგვიცალეთ ჩვენი სახლი სოლოლაკში, რადგან ჩვენი შენობის აგებას უნდა შევუდგეთ და, პირობის ძალით, მოიჯარადრეს ჯარიმა უნდა გადავუხადოთ, თუ დროზე მუშაობას არ შეუდგაო.

✦ ტფილისის ებრაელთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას თავისი სკოლა დაქირავებულ სახლში აქვს გამართული და წელიწადში 80 თუმანს იხდიან ამისათვის. საზოგადოებას განუზრახავს, თორას გვერდით, მე-5 უბანში, სახლი შეიძინოს და იქ მოათავსოს თავისი სკოლა.

✦ ამას წინად ტფილისის მოქალაქეთა კრებაზე მოქალაქეთა მამასახლისმა ხოსროევმა გამგეობის საქმის მწარმოებელს ჯილაევს მექრთამე დაუძახა. ბ-ნმა ჯილაევმა ამის გამო საჩივარი შეიტანა მეორე ნაწილის მომრიგებელ მოსამართლესთან, ხოსროევმა ცილი დამწამაო. გუშინ ეს საქმე გასარჩევად იყო დანიშნული. ბ-ნმა ხოსროევმა გამოუცხადა მოსამართლეს, მე უარს არა ვყოფ, რომ ჯილაევს ეს სიტყვა დავუძახე, მაგრამ ჯერ თვითონ ჯილაევმა დამიძახა „სულელიო“. ბ-ნმა ხოსროევმა 8 კაცი დაუსახელა მოსამართლეს, დაიბარეთ და ჰკითხეთ საქმის გარემოებაო. ჯილაევის მხრით ვექილი იყო, ვინმე ხამუტოვი, რომელმაც ითხოვა, მოწმობა მომეცით მოქალაქეთა გამგეობიდან ჯილაევის ნამსახურობის საბუთები გამოვიტანოო. მოსამართლემ საქმის გარჩევა სხვა დროისათვის დანიშნა,

ხორთუვის მოწმების გამოწვევაც მიიღო და ჯილდავს ვექილისათვისაც მოწმობის მიცემა გადასწყვიტა.

## ქუთაისის ახალი ამბები

✦ 26 ოქტომბერს ქალაქის თავის მოადგილის ქ-ნ ა. ბ. ლორთქიფანიძის თაოსნობით ქალაქის თეატრში გაიმართება წარმოდგენა ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

✦ 18 ოქტომბერს ქუთაისს ეწვევა საგასტროლოდ ტფილისის არტისტიულ საზოგადოების დასი ნ. დ. კრასოვის მეთაურობით.

✦ ამ დღეებში ქუთაისში ჩამოვიდა პეტერბურგიდან ტაინი სოვეტნიკი ბარონ ბუკს-ჰევდენი, რომელსაც მიუმართავს ბ-ნ გუბერნატორისათვის შემწეობა აღმოუჩინოს დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის სახელობაზე ბავშვთა თავშესაფარების დაარსების საქმეში. ბ. გუბერნატორმა მიიწვია ქალაქის მოურავი და მოელაპარაკა ამ საგნის შესახებ. უკანასკნელმაც თავის მხრივ მოიწვია ხმოსნები და ქალაქის შეძლებულნი და აუხსნა ამ საქმის გარემოება. ვინც საპატიო წევრობას იკისრებს. უნდა ერთდროულად გადაიხადოს 100 მანეთი, რისთვისაც მიეცემა მეშვიდე კლასის ჩინი და მუნდირის ტარების ნება. კერძო თათბირზე ბევრმა, ნამეტურ ვაჭრებმა, სიამოვნებით განაცხადეს საპატიო წევრად ჩაწერის სურვილი. 14 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის კლუბის დარბაზში ამ საგნის შესახებ ბარონ ბუკს-ჰევდენის თავმჯდომარეობით დაინიშნა კრება, რომელზედაც დიდძალი საზოგადოება იყო მიწვეული.

✦ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის დეპუტაცია, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, ამ თვის დამლევს აპირებს პეტერბურგს გამგზავრებას, რათა იშუამდგომლოს სამინისტროს წინაშე ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ.

## რუსეთის ქრონიკა

✦ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ დღემდე სამინისტრომ კრებებისაგან 114 პასუხი მიიღო. საჭიროებანი და ის საშუალებანი, რომელთა მიღებაც საჭიროდ არის დანახული, სამ კატეგორიად იყოფება: ერთს ის საჭიროებანი და საშუალებანი ეკუთვნიან, რომელთა განხორციელებაც მხოლოდ მთავრობას შეუძლიან; მეორეს ისეთი, რომელსაც ხაზინის დახმარებით ერობა გაუძლვება და მესამეს—რომელსაც ერობა თავის ხარჯითა და შეძლებით გააკეთებს. პირველ კატეგორიას ეკუთვნის: გლეხთა და მემამულეთა დავალიანების შესუსტება, გამოსასყიდ გადასახადის შემცირება, გადასახლების საქმე, სადამოენო გადასახადისა და რკინის გზის ტარიფების დაკლება და სხვა. მეორეს: სახალხო და სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმე, ხევებისა და მდინარეების გამაგრება და სხვა. მესამეს: სასოფლო-სამეურნეო და საავრონომიო საბჭოების მოწყობა, აგრონომთა მიწვევა, სამეურნეო იარაღის საწყობების გამართვა და სხვა.

✦ ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა წესები და პროგრამები იმათ გამოსაცდელად, ვისაც სპეციალურ საგნების მასწავლებლობა ჰსურს საკომერციო სასწავლებლებში. ამ წესებისა და პროგრამის მისაღებად მსურველმა უნდა მიჰმართოს ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებას. პირველი გამოცდა მოხდება მიმდინარე წლის დეკემბერს. მსურველმა თხოვნა პირველ დეკემბრამდე უნდა გაჰგზავნოს. უნდა აცნობოს, რა საგანში ჰსურს ეგზამენის დაჭერა, აგრეთვე ის, როგორ სასწავლებლისათვის ემზადება (საკომერციო სასწავლებლისა, საკომერციო კურსებისა, სავაჭრო სკოლისა თუ სავაჭრო კლასებისათვის). თხოვნასთან ერთად უნდა გაიგზავნოს: 1) დაბადებისა და ნათლობის მოწმობა, 2) სასწავლებლის გათავების მოწმობა და 3) მოკლე ბიოგრაფია.

✦ მთავრობამ შეიმუშავა ორი პროექტი: სასამართლოს რეფორმისა და სამოსამართლო უწყების ახალ შტატებისა. ამ რეფორმის განხილვას დეკემბერში შეუდგებიან. ამბობენ, ამ პროექტების განხილვა სამს წელიწადს გასტანსო.

✦ იმ სახელოსნოებს, რომელნიც საქარხნო ინსპექციას არ ემორჩილებიან, კიევის გუბერნატორის განკარგულებით დაეგზავნათ წესები. ეს წესები უმთავრესად სამუშაო საათებს შეეხება. პოლიციას ნაბრძანები აქვს, თვალ-ყური ადევნოს, რომ სახელოსნოების პატრონებმა წესები არ დაარღვიონ. ამ წესებით სამუშაო დღეებად კვირაში ექვსი დღე ითვლება. კვირაობით და დიდ საეკკლესიო უქმეებში მუშაობა შეიძლება მხოლოდ დიდი საჭიროების დროს. მუშაობა უნდა დაიწყოს დილის ექვს საათზე და დამთავრდეს საღამოს ექვს საათზე. საუზმისთვის მომუშავეთ ნახევარი საათი უნდა მიეცეთ, ხოლო სადილისა და მცირე შესვენებისათვის—საათ ნახევარი

✦ მოსკოველ ჟურნალისტებს განუზრახავთ „მწერლობის მოღვაწეთა მომხმარებელ საზოგადოების“ დაარსება. ჯერ-ჯერობით 100 კაცი ჩაეწერა.

✦ მთავრობამ გადასწყვიტა გაამრავლოს სასამართლოებში პროკურორების რიცხვი. შიდა რუსეთში 79 ახალი პროკურორი და პროკურორის ამხანაგი იქმნება დანიშნული, ხოლო ამიერ-კავკასიაში—7 პროკურორის ამხანაგი.

## თეატრი

**ქუთაისის სახალხო თეატრი.** სახალხო წარმოდგენების შესახებ კაცი ისე ვერ წარმოსთქვამს პირუთვნელ აზრს, რომ ვისგანმე საყვედური არ მიიღოს. მიუხედავად ამისა, მემატიანე გადაწყვეტილია პირუთვნელობას არ უღალატოს და საგნად მუდამ ის ჰქონდეს, რომ მოთამაშეს თავისი ღირსება-ნაკლულევანება დაანახვოს. ამას საზოგადოდ ვამბობ. კერძოდ კი ქუთაისში 12 ოქტომბერს გამართულ სახალხო წარმოდგენის („ციმბირელი“, ავქ. ცაგარლისა) ნაკლულევანება ბევრი არ მექნება საჩვენებელი. ეტყობოდა, სახალხო წარმოდგენების მოთავეთ ყოველი ღონე ეხმარათ, რაც შეიძლებოდა, მეტი პატივი ეცათ განსვენებულის ნიჭიერ დრამატურგის ავქ. ცაგარლის ხსოვნისათვის. წარმოდგენის დაწყებამდე დადგმულ იქმნა აპოთეოზი. მშვენივრად დახატულს მსახიობის დიდ სურათს ამკობდა ორის მხრით ჩამწკრივებული ავტორის გამოხატული ტიპები, რომელთაც ხელში გვირგვინები ეჭირათ. ი. თ. ბაქრაძემ წაიკითხა სიტყვა, რომლითაც გააცნო საზოგადოებას აქსენტი ცაგარლის მოღვაწეობა ქ-ნთ გიგაურმა, თავზარაშვილმა და ბ-ნმა ჯაფარიძემ წაიკითხეს ლექსები.

შვენივრად ჩაიარა თვითონ დრამამ, და ეს არც გასაკვირველია, რადგან ხელმძღვანელად იყო ისეთი დახელოვნებული კომიკი, როგორიცაა ვ. ბალანჩივაძე. თვით ბალანჩივაძემ საუცხოოდ შეასრულა მაზუთიანის როლი. მეტად კარგად ჩაატარა იოვანეს ცოლის როლი ქ-ნმა ქავთარაძისამ. იმისმა დაკვირვებულმა და აზრიანმა და გრძნობიერმა თამაშობამ ყველანი აატირა. კარგები იყვნენ აგრეთვე ბ-ნი: შველიძე—პეტუა (ცოტას კი აჭარბებს), რობაქიძე—ციმბირელი და—ნი—სტეფანე. არც ქ-ნთ თავზარაშვილს (ანნა, სტეფანეს ცოლი), საჩხერელსა (ნარგიზა) და გიგაურს (მაშო) უშავდათ რამე, თუმცა ხანდახან კი იბნეოდნენ, როგორც სცენაზე პირველად გამოსულნი, ნამეტურ უკანასკნელი. ბ-ნმა №№-მაც (ქლესოვი) არ გაამართლა ზოგიერთების შიში და ისე თავისუფლად ითამაშა, რომ არც კი ეტყობოდა სცენაზე პირველად გამოსვლა.

საზოგადოდ წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა და თეატრში მყოფი საზოგადოებაც ძლიერ ნასიამოვნები დაბრუნდა შინ.

**დონ-ვალიანი**

✦ დღეს, 17 ოქტომბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია წარმოსადგენად ორი პიესა: „ირინეს ბედნიერება“, დ. კლდიაშვილისა და „მარჯვე დღე“, კომედია. ამ წარმოდგენაში, აქაურ მსახიობებს გარდა, ქუთათური არტისტი ვ. ბალანჩივაძეც იღებს მონაწილეობას.

## წერილი ევლახიდან

სადგურის წარმატება.—რამ შეუწყო ამას ხელი.—ვაჭრები და კონტორები.—მოსავალი.—წიგნთ-საცავი არა გვაქვს.—ქართველები და ამათი დროს გატარება.—ცდაა საჭირო.

თუ სადგურ ევლახის მიდამოები 15—20 წლის წინად ჭაობებისა და მაღალ ლელწმის სამფლობელოს წარმოადგენდა, დღეს იმის ორსავე მხარეს აშენებს 200—300-დე მწყობრად აშენებული და ყუსტით კოხტად დახურული დუქანი. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლებიც-კი შეჰხვდება ევროპიულის გემოვნებით აშენებული. წინად ადგილი აქ თითქმის მუქთად იშოვებოდა, დღეს-კი საჟენი მიწა 4—5 მანეთად ჰფასობს. ამის გამო სახლებსაც კარგი ფასი აქვს: რიგიანი ოთახს 7—8 მანეთ ნაკლებ ვერ იშოვი თვეში.

ევლახის ზრდასა და წინ-სვლას კაცი გაცნობიერებაში მოჰყავს: ცხოვრება თუ მეტად ძნელი ასატანი იყო აქ წინად ცუდი ჰავის გამო, დღეს ამის შიში აღარ არის რკინის გზის წყალობით, რომელმაც ევლახს რვა ვერსის სიგრძეზედ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხრით უზარ-მაზარი „დამბა“ (კედელი) გაუკეთა და სადგური უზრუნველ ჰყო ყოველ-წლობით ადიდებულ მტკვრის გადმორებისა და წალეკისაგან: დაგუბებული წყალი ევლახის მიდამოებში თითქმის აღარ არის და ამიტომ ჭაობებიც მოისპო; ამისავე წყალობით თითქმის მოისპო კოღოც. სწორედ ამით აიხსნება, რომ ევლახს დიდ-ძალი ხალხი აწყდება, მით უფრო, რომ იგი ყელია შუშის, ნუხისა და სხვა მეზობელ მაზრების მრეწველობისა, რადგან არც ერთი ამ მაზრების ნაწარმოები ევლახს არ ასცდება. ევლახიც თავის მხრით აწვდის ამ მაზრებს სხვა-და-სხვა ადგილებიდან შემოზიდულ ნაწარმოებს.

ვაჭრობა აქ თათრებისა და სომხების ხელშია. ერთი ქართველიც არის აქ, რომელსაც სიყასბო აქვს და სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, სინიდისიერადაც ვაჭრობს: თუმცა ერთათ-ერთი ყასაბია, სხვა მეტოქე არავინა ჰყავს, მაგრამ ამით მაინც არ ჰსარგებლობს და ფასს არ უმატებს—გირვანქა ხორცს პირველ ხარისხისას 7—8 კაპ. ჰყიდის. არც ერთს ჩვენ დაბა-ქალაქებში ეს არ მეგონოშნავს, თუმცა საკლავი საქონელი, მედარებით, მაინცა-და-მაინც იაფად არ იყიდება აქ.

დაწესებულებათაგან აქ არის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორა გამსესხებელ-შემნახველ კასით. უფროსის გარდა, აქ არის ექვსამდე მოხელე და ხუთიოდე დაბალი მოსამსახურე. ყველა ესენი თათრებია, გარდა ფოსტალიონისა—რუსია. სავაჭრო კონტორები გამართული აქვთ აქა: „ნადეჟდა“-სა, „როსია“-სა, „კავკაზ მერკური“-სა და სხვა საზოგადოებათ; კერძო კომისიონერიც ბევრია აქ.

წელს აქეთ კარგი მოსავალი მოვიდა პურისა და ქერისა; აბრეშუმიც საკმაოდ მოუვიდათ ამ მხარეს. ამ ჟამად ევლახის სადგურიდან დიდ-ძალი პური და ქერი იგზავნება კასპიის იქითა მხარეს ასხაბადს: იქ წელს ჭირნახულის ცუდ მოსავალს ამბობენ. პარკი მიდის მარსელისაკენ. აი ეს მიზეზები აცოცხლებს და წარმატების გზაზე აყენებს ევლახს და დღეს აქ სიცოცხლით სავსე ცხოვრება ტრიალებს. აქ მუდამ მოძრაობაშია 15—20 ფაიტონ-დილიჟანსი რომელნიც შუშანუხას მიმოდიან მგზავრებით, და 50—60 ფურგუნი, რომლებიც განუწყვეტლივ ეზიდებიან სხვა-და-სხვა საქონელს ნუხა-შუშას ქალაქებისაკენ. ფურგუნებისა და ფაიტონ-დილიჟნების პატრონები თათრები არიან. კარგი შემოსავალიც აქვსთ: თითო ფურგუნი თვეში, ორთა-შუა რიცხვით, 15 თუმნამდე აიღებს, ორ ამდენს მაინც ფაიტონ-დილიჟანიც.

დიდი დანაკლისია ევლახისათვის, წიგნთ-საცავი რომ არა აქვთ, ან სამკითხველო და არც ჰზრუნავენ ამისათვის. თითო-ოროლა სომხური გაზეთები „მშაკი“, „ნორ-დარი“ და „თარაზი“ თუ მოსდით აქაურებს—სხვა არაფერი.

თვითონ სადგური ევლახი ამ ჟამად კარგი სანახავია, რადგან ძველი სადგური რკინის გზის მმართველობამ დაანგრია, მიწას კიდევ მოწა მიაყარა და ლიანდაგის ზედა პირიც ორი არშინის სიმაღლეზე ასწია. ახალი სადგური სრული და კოხტაა. სადგურ უჯარიდან აქეთ გადმოიტანეს დეპო; მოსამსახურეებისათვის რვა დიდი შენობა ააგეს იმათ სადგომად და ამან ევლახი უფრო დაამშვენა, ხოლო ამ სახლების კარ-მიდამოებს მეტი უსუფთაობა ეტყობა—ამ მხრით ევლას დიდი ნაკლი აქვს. მოსამსახურეები, სადგურის უფროსის თანაშემწეები, კონტორის მოხელეები, დეპოს მოსამსახურეები, „სლესრები“ და მემანქანეები, მომეტებული ნაწილი ქართველები არიან, რიცხვით 40-მდე მაინც იქნებიან და ამათგან მხოლოდ ერთს მოსდის „მოამბე“ „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“,—ეს არის „ნადეჟდა“ საზოგადოების კონტორის აგენტი, დანარჩენს რკინის გზის არც ერთ ქართველ-მოხელეს არც ერთი ქართული ჟურნალ-გაზეთი არ მოსდის. მთელი თავისუფალი დრო ბილიარდზე თამაშობისა და სმა-ქეიფისათვის მოუნდომებიათ. აბა, 200—300 დუქანს ვაჭრობა არ უნდა?.. „კრასნი დუპლეტ უგოლ“-ში და „ჟოლტი პრიამოი შუაში“—სასურველი დროს გატარება სიცოცხლით სავსე ჩვენი ახალგაზდა ბიჭებისა. ტყუილად ნუ იკითხავთ, რამდენი აქვთ შენახული ამ ახალ-გაზდებს აქაურს შემნახველ კასსაში თავის შრომით უცხო ადგილას დამუშავებულ ფულიდან გადადებული...

აქაურმა მოსამსახურეებმა შარშან აღძრეს დაპარაკი ევლახში წიგნთ-საცავის გამართვაზე, ხელის-მოწერით ათ-თუმნამდე ფულიც შეაგროვეს, მაგრამ ამ საქმის ინციატორმა ინჟენერმა ტიროპეტერმა ამას წინად ტფილისში „დვორცოვის ნომრებში“ თავი მოიკლა და მას აქეთ რკინის გზის მმართველობას კრინტიც არ დაუძრავს ამ საქმის განხორციელებაზე. თუ დიდი არა, პატარა სამკითხველო მაინც საჭიროა ევლახისათვის, რომ მოსამსახურეები დუქნებში ქეიფსა და დროს გატარებას ცოტათი მაინც ასცდნენ. განჯასა და სხვა დეპოებში თუ თვითონ მუშებმა და საზოგადოდ მოსამსახურეებმა ითავეს და კიდევაც შეასრულეს თავიანთი წადილი—სამკითხველოები დააარსეს, რატომ ევლახის მოსამსახურეებს არ შეუძლიანთ ამოირჩიონ კაცი და მიანდონ ამ საქმის დაბოლოვება „თუ გული გულობსო“.. ხომ გაგიგონიათ...

**ხუმარი.**

## დაბა-სოფლები

**ხეთა** (სამეგრელო). ჩვენ სოფელს საუცხოვო მდებარეობა აქვს. იგი წყლითა და ჰაერითაც ნაქებია. მიუხედავად ამისა, ავადმყოფობა აქ ხშირია. ამის უმთავრესი მიზეზი მცხოვრებთა უმეცრება და ცრუ-მორწმუნეობაა. ავადმყოფის მოსარჩენად თითქმის ყოველთვის ექიმის ნაცვლად მკითხავ-მარჩიელთან გარბიან (მათი რიცხვი აქ უთვალავია). მკითხავი ურჩევს ავადმყოფს: „კარგი კურატი უნდა დაჰკლა, თავანკარი ღვინო წაიღო წმ. გიორგის ეკლესიაზედ და იქ წმიდანებს შესწირო და განთავისუფლდებიო“. ავადმყოფსაც მეორე დღეს ყველა ეს მიაქვს ეკკლესიაში; თანაც გზაში ავადმყოფი ან ცივდება ან სხვა რამ უბედურება ემართება.

არა აქვს ამ სოფელს არც საავადმყოფო, არც აფთიაქი, თუმცა აქ 1000 კომლამდე მცხოვრებია. არის ვაჟთა ორკლასიანი და ქალთა ერთ-კლასიანი სასწავლებელი; სამაგიეროდ სამიკიტნო ბევრია—სულ ათამდე იქმნება. ეს დუქნებია ყოველისავე სიბოროტის ბუდე. აქ დღე-ღამე სმა და ბანქოს თამაშია გაჩაღებული. ღვინით შეზარხოშებული ვაჟბატონები მიდიან და ქურდ-ბაცაცობენ. იპარავენ ქათამს, ინდოურს, ბატს და სხვას. ვინც ამაებს აშორებულია და პატიოსან შრომას ეწევა, იმას მშვენიერნი სქესნი „სცარცვავენ“. თქვენ ქალაქებშიაც ვერ შეჰხვდებით ასეთ აბრეშუმის ჩასაცმელ-მოსართავებით შემოსილ ქალბატონებს, როგორც ჩვენში!.. ძალიანაა „მოდა“ გავრცელებული!..

ესეთია ამ სოფლის ვითარება...

**ფრ. ი—მე**

**ვარდისუბანი** (კახეთი). ოთხი წელიწადია, რაც ამ სოფელში პირველად გაჩნდა საქონლის ჭირი. პირველს წელიწადს ბევრი იმსხვერპლა ამ სენმა, რადგან დროით ვერ მიჰმართეს ბეითლებს, მეორე წელიწადს მცხოვრებნი აღარც კი აცდიდნენ ერთი მეორეს და დროით ატყობინებდნენ ბეითლებს. ამიტომ ამ წელიწადს სულ სამი თუ ოთხი სული იმსხვერპლა. მესამე წელიწადს აღარ გაჩენილა ჭირი. მეოთხე წელიწადს, ე. ი. წელს ისევ გვეწვია ნაცნობი სტუმარი. გაუხდა ერთს მეკომურს ავად კამეჩი, შეატყობინეს ბეითალს, ბეითალი გადმოვიდა და გასინჯვის უმალ მოაკვლევინა. შემდეგ მთელის სოფლის საქონელი დასინჯა და კიდევ აღმოჩნდა რამდენიმე სული ავათ. საქონლის დასინჯვის შემდეგ უბძანა მამასახლისს, დაეყენებინა სოფლის გარშემო ყარაულები, რომ ნება არა ჰქონოდათ სხვა სოფლებში მიმოსვლისა ურმით, რამაც გულხელი დააკრეფინა ხალხს. სოფელი ახლა ამ ჭირის გამო სხვაფრივაც გაჭირვებულია: 1) ყოველ-დღე სოფლიდან ბეითალს დასდევს ათი კაცი საქონლის გასინჯვის დროს დასახმარებლად, 2) ექვსი კაცი ყოველ-დღე ჰყარაულობს სოფელს, რათა საქონელი სხვა სოფელში არავინ წაიყვანოს და 3) დღეში სამი კაცი უნდება ჩაფრების შეშის დაჭრას, წყლის მოტანას, ქერისა და თივის მოტანას და ბოსლის დასუფთავებას.

**ცივის-კალთელი**

## უცხოეთის წვრილი ამბები

**უცოლობა აკრძალულია.** არგენტინის რესპუბლიკის ერთ-ერთს შტატში კანონი გამოუციათ, სასტიკად აკრძალულია უცოლობა. ამ კანონით ოცი წლისამ უთუოდ უნდა ჯვარი დაიწეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში 30 წლამდე თვეში 20 მარკა

უნდა იხადოს. შემდეგ ხუთ წელიწადს გადასახადი ერთი ორად დაედებათ. 35-დან 50 წლამდე თვიურად 80 მარკა უნდა იხადოს; 50-დან 75-მდე 120 მარკა თვეში; ამაზე უფრო ხნიერს გადასახადი უმცირდება წელიწადში 40 მარკას გადაახდევინებენ. 80-წლის შემდეგ უცოლო ალარაფერს აღარ იხდის. ქვრივიც მოვალეა სამის წლის ქვრივობის შემდეგ კიდევ დაქორწინდეს. თუ უცოლომ წლის განმავლობაში სამჯერ უარი მიიღო საცოლოსაგან და ვაჟიც ამას საბუთებით დაამტკიცებს, ჯარიმა აღარ გადახდება და თავისუფალიცაა ამის შემდეგ.

ადვილად მისახვედრია, რა სწადია არგენტინას...

* *

**ამერიკელის ახირებულობა.** ამერიკელი ხომ სულ იმის ცდაშია, რომ რაიმე ახალი მოიგონოს, ამით სხვისი ყურადღება მიიქციოს და წადილის ასრულება გაიადვილოს. ამ ჩვეულებას ამერიკაში არც მღვდელი ჩამორჩენია და ეკკლესიებში ახალი ჩვეულება შემოუღიათ. გეორგიას შტატის ქალაქ ატლანტში ერთს ეკკლესიაში მომღერალი ჩიტები ჩამოჰკიდა გალიებით მღვდელმა ეკკლესიის კედლებზე და ჭერზე. ჩიტები ისე გასძახოდნენ თურმე, რომ მღვდლის ქადაგება ამათ ჟრიამულში არც-კი ისმოდა.

კენტუკის შტატში, კემპტონის მღვდელი კაიზერი იმ აზრისაა, რომ ეკკლესიაში გალობა არ უნდა იყოს და არც სხვა მუსიკაც, გარდა სტვენისა. ამიტომ ამ მღვდელს მსტვენავთა მთელი გუნდი გაუმართავს თავისს ეკკლესიაში. ამ მღვდელს იმდენად ჰყვარებია თურმე ყოველს საქმეში ზომიერება, რომ ამის გუნდში მონაწილე ყველა უნდა ერთის სიმაღლისა იყოს (გუნდი ქალებისაგანაა შემდგარი) და თუნდაც მშვენიერი ხმა ჰქონდეს ქალს, საეკკლესიო გუნდში არ ჩარიცხავს, ცოტა მაღალისა, ან დაბალის ტანისა თუ იქმნა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

## 15 ოქტომბერი

**ტულა.** ტულის სამაზრო ერობამ დააწესა სასკოლო ნუსხა, რომლითაც ყველასათვის ხელმისაწდომი სწავლება უნდა შემოიღონ. კრებამ მიიღო აგრეთვე მოხსენება იმის შესახებ, რომ დაქირავებულ მოსამსახურეთა მდგომარეობა გაუმჯობესებული იქმნეს.

**დარმშტადტი.** დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ შუადღეზე მოვიდა აქ; ვოგზალზე მიეგებნენ დიდი ჰერცოგი, პრინცი ჰეინრიხი მეუღლითა და სხვა პრინცებიც.

**ლონდონი.** 14 ოქტომბერს მეფე-დედოფალმა მიიღეს ბარონი სტაალი, რომელმაც გამოსათხოვარი გრამატა ჩააბარა. ცოტა გვიან ქ-ნი სტაალისა მიიღეს. სადამოს ბარონი სტაალი უელსის პრინცმა მიიღო.

**ტიანძინი.** უმაღლესი ზედამხედველობა მთამადნის მრეწველობისა რკინის გზებისა, ტელეგრაფისა და ვაჭრობისა ჩააბარეს იუანშიკაის, როგორც ვაჭრობის მინისტრსა. წინანდელ გენერალ-გუბერნატორებთან შედარებით იუანშიკაიმ უფრო მეტი ძალა შეიძინა.

**კონსტანტინეპოლი.** იემენსა და ადენს იქითა მიწებზე სამზღვრების გავლების გამო ინგლის-ოსმალთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება ალბად მორიგებით გათავდება. ოსმალებმა უარი უნდა სთქვან ოლქის დაჭერაზე. ინგლისელები ამტკიცებენ, რომ ეს მხარე დასახლებულია არაბებით, რომელნიც ინგლისელების მფარველობის ქვეშე არიანო.

**ლონდონი.** ბურების წინანდელმა მეთაურებმა კრიუიცინგერმა, ჟუბერმა და ფუშემ კემბრიჯში სიტყვა წარმოსთქვეს. სახლის წინ ახალგაზდობამ შეიყარა თავი და ემუქრებოდა იმათ. ფუშე და ჟუბერი ომნიბუსით წავიდნენ, ომნიბუსამდე-კი პოლიციამ მიაცილა.

**პეტერბურგი.** განზრახულია, მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან მესამედ გაიმართოს ტყის გამგეთა კრება.

— ნიკოლაევსკისა, ვარშავსკისა და ბალტიის რკინის გზებმა საშუალება მიიღეს, რომ სადგურებზე ხორბალი დიდხანს არ დარჩეს. გზათა სამინისტრომ კაცები გაგზავნა იმ ადგილებში, სადაც ხორბალი ბლომად თავ-მოყრილია.

— მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

## 16 ოქტომბერი

**სოფია.** რადგან მთავარი აქ არ არის, საერო კრება მინისტრ-პრეზიდენტმა გახსნა; ჩვეულებრივი ცერემონიალი არ ყოფილა.

**პარიზი.** დელკასსემ აცნობა მინისტრთა საბჭოს, რომ გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი ერთის მხრით, ხოლო იაპონია მეორეს მხრით შეთანხმდნენ და იაპონიაში უცხოელთაგან მამულების სამუდამო იჯარით აღების შესახებ დადგენილების ახსნა-განმარტება სამედიატორო სასამართლოს მიანდეს. მედიატორნი არჩეულ იქმნებიან ჰააგის სამედიატორო სასამართლოს წევრებიდან.

**სოფია.** მეამბოხენი ჯერ კიდევ იბრძვიან კრესნენის მთებში და დინამიტით ბევრი ოსმალელი მოჰკლეს და დასჭრეს.

**სოფია.** საერო კრება გაიხსნა სეფე-სიტყვით, რომელიც მინისტრ-პრეზიდენტმა დანევმა წაიკითხა. სიტყვაში სწერია, რომ ბოლგარიის სამთავროს უველა სახელმწიფოსთან კარგი განწყობილება აქვს; დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და და რუს გენერლების ბოლგარიაში მოსვლა ამტკიცებსო რუსეთის იმპერატორის სათნოებას ბოლგარიის, მთავრის და დინასტიისადმი, აგრეთვე ბულგართა და რუსთა შორის შეურყეველ კავშირის არსებობასაო. ბულგარიის მთავრობა სცდილობს დაიცვას კარგი განწყობილება უცხო სახელმწიფოებთან. ამას უთუოდ დააფასებენ უცხო სახელმწიფოებიც და დაგვეხმარებიან ხელშეკრულებათა დაცვის საქმეში, რათა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მშვიდობიანობა ჩამოვარდეს.

**ჩიკაგო.** ჯემს ვილსონმა სავაჭრო კლუბში წარმოსთქვა სიტყვა, რომ სასურველია შეერთებულ შტატებსა, კუბასა, პორტორიკოს, მექსიკასა და კანადას შუა სავაჭრო კავშირი დაარსდეს; კანადაში ვაჭრობის თავისუფლება უზრუნველყოფილი უნდა იქმნას იმ პირობით, რომ შემოიღონ ამერიკული ტარიფი ინგლისის წინაამდეგ. მონროეს დოკტრინას ძალა უნდა ჰქონდეს კანადაში. თუ ინგლისი უსამართლოდ მოეპყრობა კოლონიებს, შეერთებული შტატები უნდა დაეხმარნენ.

**ლონდონი.** ქვედა პალატაში კრანბორნმა განაცხადა. რომ ინგლისის ჯარის რიცხვი სომალისში 4920-ია.

**პეტერბურგი.** 28 მაისიდან 15 ოქტომბრამდე ოდესაში შავი ჭირით ავად იყო 47 კაცი, რომელთაგან 15 გადაიცვალა. 14 ჯერ კიდევ საავადმყოფოშია და დანარჩენი მორჩა.

### პეტერბურგის ბირჟა 15 ოქტომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,85 |
| ბერლინზე 100 მარკაში | — |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,37$^1/_2$ |
| ლონდონზე ჩეკები | 94,65 |
| ბერლინზე „ | 46,25 |
| პარიზზე „ | — |
| ბირჟის დისკონტი | 4$^1/_2$—6$^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 97 მყიდ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | 99$^1/_4$ „ |
| 4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 „ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 94$^1/_2$ „ |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 471$^1/_2$ გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 356 „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 288 „ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | 89$^1/_4$ „ |
| 4$^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა | — |
| ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 187 „ |

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**ზორაპნამდე:** საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

### გ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (პარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ზორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

### ე) ფოთიდან გამოდის:

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა-სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოდ. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულგულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი


## ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

## სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—17)




მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი „ოდონრინ“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს საშუალება რამდენიმე დღეში სპობს სრულებით მაზოლსა და მეჭეჭს ძირიანად. უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

ისყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში—ბაქოსა და ბათუმს. (ნ. 25—19).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

## კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი. | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელი მოთხრობა—მელანიასი. | — | 20 |
| დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო | 1 | — |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ. | — | 80 |
| სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა. | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 20 |
| სამზარეულო—ქართული და ევროპული საჭმელებისა. | 1 | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| დვინის დაუნება პროფეს. გ. პეტრიაშვილის. | 1 | 50 |
| რძე, მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა | — | 50 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა. | — | 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 25 |

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასისა ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

დიდხანს გამძლეთი და იაფი სახურავი

## ახალი სახურავი,

რომელიც ზედაც პატენტია აღებული

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

## ი. შელენგოვსკის და ამხანაგობისა

ბათუმში.

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

ამხანაგობის წარმომადგენელნი:

ტფილისში **გ. მულიარსკი** (ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში **ვ. ჩილაძე** (ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.) (50—44)